


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 10 მარტი 1 1898 წ. № 10

შინაარსი: საფრანგეთში ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და სხვა ამბავი.—კვალის კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—კუდ ქიცინა მეგობარს, ლექსი დ. თომაშვილისა.—წერილი ამერიკიდან (დასასრული) ა. ამერიკელისა.—რა მოუვა სოსიკას (დასასრული) ბებრიძისა.—ბიბლიოგრაფია ჭალარასი.—ღია წერილი გრ. დიასამიძისა.—წერილები რედაქციის მიმართ.

რედაქციის ადრესი: არწრუნის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

## საფრანგეთში.

არ არის ქვეყანაზე ისეთი კუთხე, რომელიც თავის მოძრაობით, მოქმედებით და მღელვარებით საფრანგეთს გაედრს. არ არის ისეთი ხალხი, რომელიც თავისი ალტაცებით, თავდავიწყებით და განწირულებით ფრანგთ შეედრებოდეს. აქ ყოველივე დიდი საქმე, მიუხედავათ მისი სიავკარგისა, უმაღლეს წერტილამდი ადის, უკიდურესობამდი ვითარდება და ბოლოს უცებ ერთიანათ ქრება. ფრანგმა არავითარ საქმეში médiocrité, ზომიერება, არ იცის. მისი ბუნება ვერ ითმენს ვერავითარ გულჩახვეულობას და შუა გზაზე გაჩერებას. ის ერთნაირი სისწრაფით ჩამორბის თავდაღმართში და არბის თაღმართში. მან თუ ერთხელ ფეხი გადააბიჯა, რანაირიც უნდა იყოს ეს ბიჯი, უთუოთ მეორეს და უკანასკნელს გაიბიჯებს. საითკენაც კი ერთხელ მიექანება ის, გასროლილი ქვასავით, მიიმართება ბოლომდე და დიდი ხრიალ-გრიალით ქვეყანას გააბახებს, აი, საითკენ მივდივარო. ნახეთ ერთი ფრანგი და თქვენ ნახავთ ჩვეულებრივ კაცს, ნახეთ ათასი ერთათ და თქვენ ნახავთ არა ჩვეულებრივ ადამიანთა



ემილ ზოლა.

კრებას. აქ რაღაც ისეთი ძალა ტრიალებს, რომელიც არც ერთს არ ეკუთვნის და იმავე დროს ეკუთვნის ყველას. თითოეული ამ საერთო ძალით შეკრულ-შებოჭვილი მოძრაობს იქითვე საითკენაც მიეშურება ყველა. მისი წინამძღვარი ქუჩაზე გრძნობაა, ხოლო კაბინეტში გონება... აი, ასეთია ფრანგთა ნაციონალური თვისება.

მეორეთ, მთელ ევროპაში ერთათ ერთი სახელმწიფოა, რომელსაც ხალხის მხოლოთ ერთი ნაწილი, ერთი კლასი პირდაპირ განაგებს — ეს საფრანგეთია. მხოლოთ საფრანგეთმა შეძლო წამოეყენებია ისეთი ახალი კლასი, რომელმაც ძირიანათ დაანგრია ძველ წოდებათა უფროსობა, რომ მის ნანგრევზე თავისი უფროსობა აეშენებია. ეს კლასი ბურჟუაზიაა. საფრანგეთის ერის გენიოსობა და ისტორიული მოწოდება სწორეთ ასეთი ძლევამოსილი კლასის შემუშავებაში გამოიხატა. მაშინ როდესაც სხვაგან ბურჟუაზიას ბატონობაში თანამოზიარე ჰყავს, (მაგ. ინგლისში ლორდები და სასახლე, გერმანიაში აზნაურობა და მეფე და სხ.), აქ მხოლოთ ის ბატონობს და სამართლიანათ შეუძლია თქვას, სახელმწიფო მე ვარო. ასეთია ფრანგთა სოციალური ატმოსფერა.

მესამეთ, მას შემდეგ, რაც საფრანგეთი გერმანიამ დაამარცხა და ელზას-ლორენი წაართვა, თითოეული ფრანგი თავის თავს შეურაცხყოფილათ და გალახულათ გრძნობს. საფრანგეთის ნაციონალური ამპარტავნობა ამან დასცა და თვით ერის ზნეობრივი ძალა შეასუსტა. წარმოიდგინეთ ერი, რომელიც მუდამ პირველობს და ძლევამოსილობის დროშა ხელთ უპყრია, ვიგინდარასაგან დამარცხებული და სასირცხოთ ბრძოლის ველიდან გაქცეული, აი, ამას საფრანგეთი ვერაოდეს ვერ ივიწყებს და ამის დავიწყება მართლაც რომ ძნელია. აქედან სრულიად ბუნებრივათ დაიბადა წადილი სამაგიეროს გადახდის, წოდებული „რევანშ“-ათ. აი, ეს არის საფრანგეთის საერო იდეა, ეს არის მისი ლამპარი, მისი სასოება და იმედი. ის ამას არავითარ შემთხვევაში მხედველობიდან არ უშვებს, მუდამ მას ეტრფის და აღვივებს. სამაგიეროთ ამან შეასუსტა ყოველივე სხვა მისწრაფება და, ლამის არის, მისი გულისთვის ხალხმა ყოველიფერზე ხელი აიღოს, საკაცობრიო იდეალი ხელიდან გააგდოს და უბრალო პატრიოტულ ჩმახვას გამოეკიდოს... აი, ასეთია ფრანგთა საერო მიდრეკილება.

ამ ნაირათ, ფრანგთა მოძრავი და დაუცხრომელი ხასიათი, ბურჟუაზიის პირდაპირი ბატონობა და რევანში — აი, ის სამი ელემენტი, რითაც შედგება საფრანგეთის ცხოვრება, აი, რით არის გამსჭვალული მისი ყოველივე მოვლენა. ეს არის ერთათ ერთი გასაღები საფრანგეთის ამბების გასაგებათ. რაც უნდა მოხდეს, რა შემთხვევაც უნდა გამოჩნდეს, ის უთუოთ თავის სათავეს და ახსნას ამ ელემენტებში პოულობს, ყოველივე აქედან გამოდის და აქ შემოდის. ერთი სიტყვით ეს არის ის საზოგადო ნიადაგი, ის ასპარეზი, სადაც თითოეული მოვლენა აღმოცენდება, ფესვებს იღრმავებს და ვითარდება. და, აი, სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ ახსნა იმ ამბებისაც, რომელიც ამ უკანასკნელ დროს საფრანგეთში დატრიალდა და დრეიფუს-ზოლას სახელთან შეკავშირდა. ზოლას პროცესი — ეს ის კვანძია, სადაც სამივე ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი ერთათ ჩაქსოვილი და გამოსკვნილია. აქ საფრანგეთის ცხოვრების ძირითადი თვისებები ჩამოისხა, განკაცდა და ასე კაცობრიობის წინაშე წარდგა, აბა, თუ გამომიცნობთო. და ამ გამოცნობაში ბევრს დავთარი დაეკარგა, ლობე-ყორეს მოედვა და ეს არა მარტო საფრანგეთში და ევროპაში, არამედ ამ ჩვენ უბადრუკ საქართველოშიაც.

რაში მდგომარეობს ზოლას საქმე? რა შეიცავს მის დედა ძარღვს? რით არის ის შესანიშნავი?

**1894** წ. დეკემბერში საფრანგეთის აფიცერი ალფრედ დრეიფუსი სამხედრო სასამართლოს მიერ ცნობილ იქმნა სამშობლოს მოღალატეთ და ყოველივე ღირსება ახდილი, გადასახლებულ იქმნა „ეშმაკის კუნძულზე“. ყველა დარწმუნებული იყო მის დანაშაულობაში და სამხედრო პირთა მართლმსაჯულებაში. საქმეც გათავდა.

**1895** წელს პოლკოვნიკ პიკარს მიანდვეს საიდუმლოთ გაგება ზოგი ამბებისა სამსახურიდან გამოსული მაიორი ესტერჰაზის შესახებ. ამ ძიებაში ის ერთ მოულოდნელ საქმეს წააწყდა: ხელი ესტერჰაზის და იმ საბუთის (ბორდერო), რომლის ძალითაც დრეიფუსი გაასამართლეს, საშინლათ გავდენ ერთმანეთს. პიკარმა ორივე ხელნაწერი უჩვენა ცნობილ ექსპერტს ბერტილიონს. ბერტილიონმა დანახვისთანავე თქვა: მათ შორის არის არა თუ მსგავსება, არამედ ერთნაირობაცო. ყოველივე ეს პიკარმა აცნობა მის უფროს გენერალ გონზს. ამან პირველათ უსაყვედურა ასეთი არამკითხეობისათვის, მარა ცოტა ხანს შემდეგ მიწერა: „მე გადავიფიქრე. გააგრძელეთ თქვენი ძიება დიდი სიფრთხილით“. პიკარმა უპასუხა: „მივიღე თქვენი წერილი და ვიმოქმედებ თანახმათ ამისა. ხოლო ახლა ნება მომეცით განვიმეორო: მრავალი ახალი საბუთებმა მე დამარწმუნა რომ **1894** წლის განჩინება შეცდომაა. სხვები ამაზე დიდ ალიაქოთს ასტეხენ და ჯობს სიმართლე ახლავე გამოირკვეს, თვარა, იცოდეთ, დიდი სკანდალი მოგველის.“ ამაზე გონზმა მიუგო: „თქვენი გამოძიება

ახლა იმ წერტილამდი არის მიყვანილი, რომ კითხვა მხოლოთ იმაშია, თუ როგორ, რა გზით შეგვეძლება სიმართლის დამტკიცება...“ პიკარმა უპასუხა, „დროს ნუ ვკარგავთ, მე ვიმეორებ, ერთი საშინელი სკანდალი ატყდება... სკანდალი გამოტყვრება და ჩვენ კი არა ვართ მზათ ჭეშმარიტება დავამტკიცოთ.“ აქ წყდება მიწერ-მოწერა. პიკარი, ასეთი ძიების გამო ათვალწუნებული, გაგზავნეს პარიჟიდან, მოაშორეს საფრანგეთს, განაწესეს აფრიკის ისეთ ალაგას, სადაც წამსვლელი ბევრია, ხოლო მომსვლელი კი ცოტა. ცხადია, მთავრობა ფიქრობდა, პიკარი იქიდან ცოცხალი ველარ დაბრუნდება და მას თან წაყვება მის მიერ გამონაძიები საქმეო. მარა მოტყუვდა. საფრანგეთს ის უპირატესობა აქვს, რომ არავითარი საიდუმლო ამბავი დიდ ხანს არ დარჩება საიდუმლოთ შენახული. პიკარის ამბავიც ჩქარა გამოაშკარავდა და იძულებულნი შეიქნენ ის აფრიკიდან პარიჟში დაებრუნებიათ. აქ, იმის მაგიერ რომ მისთვის ნება მიეცათ სიმართლის დამტკიცების, სამსახურიდან დაითხოვეს და ციხეში უკრეს თავი.

აქედან აშკარაა, რომ მთავრობას და უმაღლეს მხედრობას არ სურდათ ამ საქმის გამოაშკარავება. რათა? იმიტომ რომ ეს ჩირქს მოცხებს სამხედრო სამართალს და მით მთელ მხედრობასო. ცხადია, აქ მართლმსაჯულების ალაგას რაღაც პოლიტიკური მოსაზრება დგება. საფრანგეთის სახელი თხოულობს მართალი გამტყუნდეს და მტყუანი გამართლდესო. რა კი მთავრობა ერთხელ ამ გზაზე შედგა, მისი იქიდან გადმოსვლა აღარ შეიძლებოდა და მით იძულებული გახდა, თავის თავის დაცვისათვის, ბოლომდე მისულიყო. პარიჟი ახმაურდა. ესტერჰაზი მისცეს სამართალში. მინისტრები და ღენერლები გაჰყვირიან: ესტერჰაზი მართალიაო. გაამართლეს ესტერჰაზი. ეს აშკარა ძალმომრეობაა, მართლმსაჯულების გადალახვაა და ამის წინააღმდეგ ხმა აღამაღლა, სხვათა შორის, გამოჩენილ მწერალმა ემილ ზოლამ. მან პირდაპირ მთავრობას, ღენერლობას და მსაჯულთ უკანონობა, მიდგომა და აღვირწახსნილი ძალადობა დააბრალა. ეს საკმარისი იყო, რომ ზოლა სამართალში მიეცათ.

ვინ არის ზოლა? ზოლა არის ის, რომელმაც თავის რომან „ფულებში“ ბურჟუაზიული წყობილება სასტიკ კრიტიკის დარჯაკში გაატარა, „ჟერმინალში“ მომავალი წყობილება ქვეყანას აუწყა, „ლურდში“ კლერიკალური სასწაულ-მოქმედება უბრალო „ფოკუსათ“ დასახა და ბოლოს ღენერლობის ძალადობას შეებრძოლა. მაშასადამე ყველა ეს ზოლას წინააღმდეგ უნდა შეერთებულიყო. ბურჟუაზია, ბიუროკრატია, კლერიკალები და მხედრები—აი, ვინ გამოვიდენ ზოლასთან საბრძოლველათ. მათ აჰყვა „რევანშით“ გატაცებული ბულვარდი და მორთეს ყვირილი: ზოლა მოღალატეა, ზოლა მოყიდულია, მან შეურაცხყო ჯარი, ერი და სხ. ამ მუდამ ატაცებულ ბულვარდელებმა გადააყრუეს მთელი პარიჟი, მთელი ევროპა. ხოლო მხედრობამ უმაგალითო ძალ-დატანება გამოიჩინა ნაფიც მსაჯულებზე. აი, მაგ. რას ამბობს მოწმეთ მოწოდებული ღენერალი პელიე: „თუ თქვენ ზოლა გაამართლეთ, ატყდება ომი და თქვენი შვილები გაგზავნილ იქნებიან საომრათო. „ღენერალ ბუადეფრმა (საფრანგეთის შტაბის უფროსმა) განაცხადა: „ბატონებო, თქვენ ხართ მთელი ერის წარმომადგენელი, თქვენ ხართ მთელი ერი, თუ ერს ნდობა არ აქვს თავის წინამძღოლებზე, გვიბრძანეთ .. თქვენ თუ ზოლა გაამართლეთ მთელი შტაბი სამსახურიდან გამოვაო. ხოლო მინისტრთა პრეზიდენტმა მელინმა პარლამენტში წარმოთქვა: „ჩვენი ჯარის სახელი ამ ჟამათ თორმეტ ნაფიც მსაჯულთა ხელშიაო!“ განა ამაზე უფრო ძალ-მომრეობა შესაძლებელია? განა ასეთი მუქარა არ მოწმობს რეაქციონულ პარტიათა სრულ ზნეობრივ დაცემას? ეს არის მართლმსაჯულება? არა, და ათასჯერ არა. ეს ძალადობა, თავის აგდება, უსირცხვილო მიდგომა და პარტიობაა, სხვა არაფერი. და ან რომელი მსაჯულნი გაუძლებენ ამდენ მუქარას ქვეყნის მეთაურთა და მმართველთა? გაამტყუნეს ზოლა.

აი მოკლეთ ეს პროცესი. თავიდან ბოლომდე, საიდუმლო მიწერ-მოწერიდან აშკარა ყვირილამდე, ერთი წითელი ზოლია გაყოლებული: რაც უნდა მოხდეს, 1894 წლის განაჩენი უთუოთ დაცულ იქმნასო. და კიდევაც დაცულ იქმნა, მარა სამაგიეროთ საფრანგეთის რეაქციონერებმა ამით თავის თავს სამარე გაუთხარეს. აქ კითხვა იმაში კი არ არის, დრეიფუსია თუ ესტერჰაზი დამნაშავე, არა. ეს ახლა მეორე ხარისხოვანია. საქმე თვით პრინციპში, თვით მართლმსაჯულების გათელვაშია. მსაჯულებაში, სამართალში პარტიობა შეიტანეს, იქ პოლიტიკა გადაიტანეს და ეს მეტათ საშიშარია ყოველგან და განსაკუთრებით იქ, სადაც პარტიათა ბრძოლა გამწვავებულია. ასეთსავე მიდრეკილებას ჩვენ ვხედავთ სხვაგანაც, რა არის მაგ. სკოლის გადამახინჯება, რაღაც სახელმწიფო მოსაზრებისთვის, თუ არ იმავე პრინციპის გატარება? ვინიცის, რამდენი უდანაშაულო პირები დაისაჯა სხვა ქვეყანაში და ეს კი არავინ იცის. მარა ყოველივე ასეთი მოვლენა ერთათ ერთ საფრანგეთში იქცევა დიდ მოვლენათ, მხოლოთ იქ გამოიტანენ სინათლეში და საქვეყნო საქმეთ აქცევენ.

ზოლას პროცესში სამი რჯულის ხალხი ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას. პირველათ ბულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდელები, მეორეთ სამინისტრო და პარლამენტი, მესამეთ—მხედრობა. პირველია ფრანგული გატაცების და მგრძნობიარების ტიპიური მატარებელი, მეორე ბურჟუაზიის მონა-მორჩილი, ხოლო მესამე სამაგიეროს გადახდის, „რევანშის“, ბურჯი და იარალი. ერთი სიტყვით ზოლას საქმე იმიტომ გახდა ასეთ დ.დ საქმეთ, რომ ამ სამმა საფრანგეთის ძირითად თვისებამ აქ მოიყარა თავი, აქ შეკავშირდენ და ჰპოვეს საერთო საზუდარი. აქ გაკეთდა მათი ნასკვი და ეს სრულებით არ გახსნილა სასამართლოს განაჩენით.

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებელ დღეს 22 თებერვალს მცხეთაში ქალებმა, რომელნიც ხელმძღვანელობენ მეფე ერეკლეს ფონდს, გაჰყიდეს 200 სურათი მეფისა 70 მ. 94 კ. და ბუფეტიდან შემოუვიდათ წმინდა შემოსავალი 63 მ. სულ 133 მ. 94 კ. ამ კამიტეტის თავმჯდომარე კნ. ნ. ქობულოვისა გულითად მადლობას უცხადებს ალექსანდრე როინაშვილს, რომელმაც ეს 200 სურათი შემოწირა ბ სოფიო და ესტატე ჩხარტიშვილებს, შალიკო ცინცაძეს, ლაზ. ჩხარტიშვილს და მცხეთის მამასახლისს, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ბუფეტის გამართვის დროს.

—

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის საზოგადო კრება ხელმეორეთ დანიშნულია 4 მარტისათვის.

—

საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი გადაყვანილ იქმნა მოსკოვის მიტროპოლიტათ, ხოლო საქართველოს ეგზარხოსათ დაინიშნა ვარშავის არქიეპისკოპოსი ფლავიანი.

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ხე-ტყის ექსპლოატაცია დაიწყოს კავკასიაში. ამასთანავე აზრათა აქვთ სახელმწიფო სატყეო რაიონებში შესაფერი გზები გაიყვანონ ხე-ტყის გადასაზიდათ.

—

მომავალ აპრილიდან შემოღებული იქნება ახალი საავთიაქო ნიხრი. ამ ნიხრით სხვა-და სხვა წამლების ფასი შესამჩნევლათ იქნება დაკლებული. მაგ. ერთი დრახმა ფენაცეტინი (სიცხის დასაკლები წამალი), რომელიც ეხლა $27^1/_2$ კაპ. იყიდება, ახალი ნიხრით ეღირება 2 კაპ. და სხ.

—

ბათომიდან წერენ „ცნ. ფურ.“ ს, რომ იქ ამ ბოლო დროს მეტათ გამრავლებულა უსაქმოთ მოხეტიალე, უბინაო და უსახლკარო გოგოების რიცხვი. უბედურნი ხშირათ დაეხეტებიან ბულვარზე, შედიან ბუფეტებში, ანუ ერთი სასტუმროდან მეორეში მოგზაურობენ. მომეტებული ნაწილი ამათგანისა გურულები ყოფილან.

—

კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს რამდენიმე რკინის გზის ლიანდაგი გაიყვანოს შავი ზღვის ნაპირისაკენ, რადგან იქ ბევრი შვენიერი საავარაკო ადგილი ყოფილა და ხალხიც თურმე ბლომათ ეტანება ამ ადგილებს.

—

ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია კავკასიის ნავთის წარმოებისათვის. იკვლევენ ზომებს, რომ ეს დარგი წარმოებისა რუსეთის კაპიტალისტებმა შეირჩინონ.

—

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებული განსაკუთრებული კამისია 19 თებერვალს შედგომია კანონ-პროექტის შედგენას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მოწყობილი საადგილ-მამულო საქმე რუსეთიდან გადმოსახლებულთა და ადგილობრივ მკვიდრთა შავი ზღვის პირის გუბერნიაში, კავკასიაში და ამიერ კავკასიაში.

—

კავკასიელი მატყლის მწარმოებელნი და ცხვრის მეპატრონენი შუამდგომლობენ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ნება დართონ მოწვეულ იქმნას მთელი რუსეთის მატყლის მწარმოებელთა და ცხვრის მეპატრონეთა საერთო კრება იმ მიზნით, რომ შეერთებული ძალ-ღონით გაარკვიონ კითხვა მოხსენებული წარმოების გაძლიერების შესახებ, აგრეთვე გამონახონ საშუალებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გადიდებული რუსეთის მატყლისა და ცხვრის ექსპორტი (საზღვარ-გარეთ გატანა.)

—

გზათა სამინისტროში აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ ქ. კერჩში დაარსებულ იქმნას საკომერციო პორტი.

—

კავკასიის ერთ გუბერნატორს აღუძრავს კითხვა იმის შესახებ, რომ შეცვლილი და შევსებული იქმნას 1892 წ. საქალაქო დებულების ზოგიერთი მუხლი. აი რამდენიმე პუნქტი განზრახული ცვლილებისა: 1) შეზღუდულ იქმნას ოპეკუნთა და მზრუნველთა მონა-

წილეობა საქალაქო არჩევანებში, რადგან ისინი ხშირათ ბოროტათ ხმარობენ თავის უფლებას. 2) საეალდებულო გახდეს ყველა ხმოსნისათვის სახელმწიფო ენის ცოდნა და სხ. კავკასიის მთავარ-მართებელმა ბრძანება გასცა, რომ დანარჩენ კავკასიის გუბერნატორებმაც წარმოადგინონ თავისი მოსაზრებანი აღძრულ საკითხთა შესახებ.

—

ამ თვის 25-ს ბაქოდან მოსული დეპეშა გვატყობინებს: „საშინლათ მოედვა ცეცხლი როტშილდის ნავთის აუზებს. ცეცხლი თანდათან უფრო ძლიერდება და სხვა მახლობლათ მდებარე აუზებსაც უქადის განადგურებას. არაჩვეულებრივი სანახაობაა“.

—

„Пріаз. Кр.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ არსდება ნავთის მწარმოებელთა ახალი საზოგადოება „მაზუტი“. საზოგადოებას ოთხი მილიონი მან. კაპიტალი აქვს.

—

ბაქოს ნავთის წარმოების მუშები თურმე ორ რიგათ იყლიფებიან. გაზ. „ნორ-დარის“ სიტყვით წარმოების მეპატრონესაგან სამუშაოს ღებულობს ჩარჩი-შუამავალი, რომელსაც მოიჯარადრე ჰქვია ძ შემდეგ ეს უკანასკნელი ქირაობს მუშებს თავისი სარფის მიხედვით. თუ მოიჯარადრე ერთი დღის ქირათ იღებს 60 კ., მუშას აძლევს აქედან მხოლოთ 50 კ. დურგლები ღებულობენ მოიჯარადრესაგან დღეში 1 მ.—1 მ. 30 კ., თითონ მოიჯარადრე კი 1 მ. 50 და ხან 2 მ.—საც. ქვაბების მწმენდავი მუშები იღებენ თვეში 16 მ.—18 მ. მოიჯარადრენი კი 50 მ.

—

ორ სევასტოპოლელ კაპიტალისტს განუზრახავს დაარსოს კავკასიაში ვენური მებელის ქარხანა.

—

საუფლისწულო მამულების უმთავრეს გამგეობას გადაუწყვეტია ს. ნაფარეულში მდებარე საუფლისწულო მამულში გააშენოს ვარდის პლანტაცია ვარდის ზეთის სახდელათ.

—

განჯაში 22 ახალგაზდას შეუდგენია ამხანაგობა რომელსაც მიზნათ ექნება ბამბეულობის წარმოება. აზრათა აქვთ პირველ წელს რკინის გზის სადგურ დალ-მამეტლის მახლობლათ იჯარით აიღონ 20 დესეტინა მიწა და ააგონ მუშათა სადგომი შენობა.

—

სომხების კათალიკოსს მკრტიჩ I-ს თხოვნით მიუმართავს სადაც ჯერ არს, ნება დართონ მოლაპარაკება დაიწყოს სტამბოლის რუსეთის ელჩთან იმის შესახებ, რომ ოსმალეთის სომხები დაბრუნებულ იქმნან თავის სამშობლოში რუსეთის იმპერიიდან.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ქიზიყის წინამხარი (სიღნაღის მაზრა.) ამ ათიოდე წლის წინეთ ქიზიყის წინამხარი ერთი ბედნიერ კუთხეთაგანი იყო ჩვენი კურთხეული კახეთისა; პური ბლომათ მოდიოდა, ღვინო ჭარბათ, ცხვარი, ძროხა და სამუშაო საქონელიც საკმაო ჰყავდა. მას შემდეგ ჩვენი ბედის ჩარხმა უკულმა შეჰქმნა ტრიალი; ვენახები, ეს უპირველესი სახსარი ჩვენი ცხოვრებისა, დიდათ ზიანდება ნაცრისა, მილდიუსა და რაღაც ბლეკროტისაგან. ამათო ხარჯავს გლეხი თავის ვენახზე ყოველ წლობით ოც-ოცდა-ათ თუმანს, გამოსავალი ნათხალსაც ვერ აძლევს დახარჯული ფულისას. გლეხი ღარიბდება, ვალში ვარდება. ღვინის მოუსავლობას პურის მოუსავლობაც ზედ დაერთო. ყარალაჯის მინდვრებს ყოველ წლობით მინდვრის თაგვები ჰამენ. წინამინდვრებს—ავდრიანი გაზაფხულებისა გამო ხევის წყლები და ალაზნიდან გადმოვარდნილი ტოტები ნამავს და გუბეებით ჰფარავს. ეს გუბეები დიდხანს რჩება გაუშრობლათ და ალპობს და აჩალავებს ყანებსა, შემდეგ ზაფხულის სიცხეები შუშავს და მარცვალს აღარ აღებინებს. პურიდანაც ხელ ცარიელი რჩება ჩვენი გლეხი. იმდენი ხორბალი არ მოსდის, რომ მეორე წლისათვის დათესოს. ცოლშვილის გამოსაკვებათ ათას გვარი ხარჯების გასასტუმრებლათ გლეხი იძულებული ხდება ან ვალი აიღოს და ან გაჰყიდოს რაც რამ გაეყიდება. წინამხრელმა უკვე გაჰყიდა რაც ცხვარი, ძროხა, ღორი და მეტი სამუშაო საქონელი ჰყავდა. რაც უკანამხარში ერთ სოფელში ცხვარ-ძროხა გამოვა, იმდენი მთელ წინამხარში რვა ცხრა სოფელში არ მოიძებნება. ილაჯ გაწყვეტილი გლეხი სახლებსა და თავლა საბძლებსაც აღარ ზოგავს, შლის და მასალათ ჰყიდის, თითონ კი წნურის ქოხში ძვრება. ქიზიყელი ჯიუტი, გულ მაგარი და შეუპოვარია, „ვით ციხე ბურჯი მაგარი“, სიღარიბე მას ვერ შეაშინებდა, რომ ჯანი სალი და უტკივარი ჰქონდეს. მაგრამ ჩვენი დიდი უბედურებაც ის არის, რომ სიღარიბეს ზედ დაერთო მმუსვრელი ძალა რაღაც უცნაური სენისა. ამან კი გატეხა სალი კლდე, საშინლათ დასცა ხალხი, როგორც ნივთიერათ ისე ზნეობით, და დააყენა იგი ამოწყვეტისა და გადაშენების გზაზე. კარგა ხანია რაც წინამხარში დაბუდდა რაღაც უცნაური სენი; ეს სენი არც თუ

ციებაა, არც თუ სახადი, მარა თვისებანი კი ამ ორივე სენისა აქვს. იგი უფრო ზაფხულობით მძვინვარებს, მარა იმდენათ უშრობს სისხლს, იმდენათ უსუსტებს სხეულს, რომ კაცი, ზაფხულში ნაავათმყოფარი, ზამთრის უბრალო გაციებასაც ეღარ იტანს, ამისათვის ზამთარშიაც ბევრი იხოცება ხალხი. სიკვდილი მადლობა ღმერთს, ნეტა ერთბაშათ და ჩქარა მაინც ჰკლავდეს ეს სენი თავის მსხვერპლს. სამწუხარო უფრო ის არის, რომ, ვიდრე მოჰკლავს, ჯოჯოხეთის ტანჯვას გამოატარებს, აკვნესებს მთელი თვეობით, მთელი წლობით და ზოგს რამდენიმე წლობითაც, და რადგანაც ავათმყოფს შვენიერი მადა აქვს, იგი სიკვდილამდის სულს აქეთ ალარას ირჩენს და ყველაფერს ჰყიდის, რომ მით ჭამოს და დალიოს და ჰკვდება მშიერი. რაღა თქმა უნდა, რომ ყველაზე ბევრს წამლებზე, მკითხავებზე და ხატობაში სიარულზე ჰხარჯავს. რამდენსაც აქამდის ღვინოს სვამდენ, ახლა იმაზე მეტ ხინას და რაღაც „შვიდ აბაზიან წამალს“ სმენ, მაგრამ ამაოთ. ყოველ დღე სოფელში რამდენიმე კვდება. ბევრჯელ მინახავს ოთხი კუბო ერთათ ეკლესიაში წირვის დროს. წყდება ხალხი წარმოუდგენელ ტანჯვაში, საშინელ სიღარიბეში, თითქმის შიმშილისაგან. დღეს საზოგადოთ გაცილებით ბევრი ჰკვდება, ვიდრე იბადება. აი სტატისტიკური ცნობები ექვსი სოფლის: ანაგისა, კარდანახისა, ვაქირისა, მაშნაარისა, საქობოსი და ასანურისა ერთათ ათი წლის განმავლობაში.

| | დაიბადა. | | | | გარდაიცვალა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1886 წ. | 734 | — | — | — | 362 |
| 1887. | 741 | — | — | — | 374 |
| 1888. | 742 | — | — | — | 416 |
| 1889. | 752 | — | — | — | 486 |
| 1890. | 683 | — | — | — | 536 |
| 1891. | 801 | — | — | — | 647 |
| 1892. | 753 | — | — | — | 707 |
| 1893. | 781 | — | — | — | 614 |
| 1894. | 672 | — | — | — | 419 |
| 1895. | 760 | — | — | — | 611 |
| 1896. წ. | 500 | — | — | — | 719. *) |

აქედან ჩანს, რომ ამ ათი წლის წინეთ ორჯელ მეტი იბადებოდა, ვიდრე კვდებოდა, ეხლა მეტი კვდება ვიდრე იბადება. რომ სოფლებში მაგალითათ მაშნაარში და ვაქირში თითქმის ორჯელ მეტი ჰკვდება ვიდრე იბადება, მაშასადამე წინამხარი ამოწყვეტის გზაზე შემდგარა, ეს უტყუარი ფაქტია. სიკვდილის თანდათანობითი გამრავლება გვეუბნება, რომ მისი მიზეზი შემთხვევითი არ არის და არც თავის თავათ გაჰქრება, და თუ არ მოისპო ეს მიზეზი, მაშინ იგი თვით მოსპობს ხალხს შვენიერ კახეთში.

უწყიან ეს ამბავი ვისაც ჯერ არს? იკვლევენ მიზეზს ხალხის მმუსვრელი სენისას? ეძიებენ საშუალებას მის მოსასპობლათ? მე ვფიქრობ, რომ არა, და თუ ჰო, როდისღა?

დ. ზირანიშვილი.

*) 1897 წლის ცნობები ხელთ არა მაქვს, მაგრამ ცხადათ ვიცი, რომ წინა წელზე გაცილებით ბევრი მოკვდა.

## კვირიდან კვირამდე.

ყიჟინი—პიროვნება—აი საზოგადო სარგებლობა.—უნაყოფო დაწესებულება—ახირებული ხარჯი—მუშათა პოლიტეხნიკუმი.

Გასული კვირა, როგორც მოგახსენეთ, ლოცვის და სინანულის კვირა იყო. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უმეტესობამ მაინც მოინანია ამ ერთი წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვები, რომელთა რიცხვი უეჭველათ არა მცირე იქნებოდა! სიამოვნებით ვულოცავთ ჩვენ მკითხველებს ასეთი მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებას და გულწრფელათ ვისურვებთ, რომ მომავალ წელში მათი ცოდვების რიცხვი უფრო ნაკლები ყოფილიყოს; სულ რომ ცოდვებს ვერ ავიცილებთ,—ეს ჩვენ კარგათ ვიცით—errare humanum est—უთქვამთ ძველებს, და მართალიც არის: ყველა ადამიანი ცოდვის შვილია, და რაღა მარტო ჩვენ, ქართველები, ვიქნებით უცოდველნი. მარა უბედურებაც სწორეთ ის არის, რომ ყველაზე უფრო ცოდვილები ჩვენ ვართ. იქნება თქვენ ფიქრობთ, რომ წინა კვირაში განვსპეტაკდით და იმედია შემდეგშიაც ასე განწმენდილი დავრჩებით. შემცდარი ბრძანდებით! მე ვიცი, რომ ჩემ გასამტყუნებლათ გასულ კვირისავე შემთხვევას დაასახელებენ.—გასულ კვირეს, ყოყოჩური მედიდურობით წამოიძახებენ ისინი, ჩვენ მოვიშორეთ არა მარტო პირადი ცოდვები, არამედ საერთოც, ე. ი. ისტორიული ცოდვა... მეფე ერეკლე მეორის დასაფლავების ასი წლის შესრულების დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ერთათ და რამდენსამე ადგილას პანაშვიდი გადავიხადეთ. ნუ თუ ამას შემდეგაც ჩვენ საყვედურის ღირსნი ვართო?—დაგვეკითხებიან ჩვენ. მე კი მხოლოთ ამას ვამბობ: ვინ ამბობს, რომ ეს კარგი საქმე არ არის. საჭიროა, რომ საზოგადო საქმეში მოქმედებით გამოვიჩინოთ თავი და არა ყოყოჩობით და უკმეხი ტრაბახობით. ჩვენ კი, პირიქით, სულ სხვანაირათ ვიქცევით: როცა რაიმე საზოგადო საქმეს გამოვიწყებთ, ყველა ჩვენგანი რაც შეიძლება მ[illegible]ს

ლაპარაკობს, რომ საზოგადოების თვალში მარტო იგი გამოვიდეს საქმის სულის ჩამდგმელი, და როცა თვით მოქმედებაზე მიდგება საქმე, მაშინ იმდენს ვეცდებით, რომ საზოგადო საქმეს ერთ ვისმე მოვახვეევთ თავზე და შემდეგ ჩვენ კი საერთოთ მოვრთავეთ კიჟინს: აი, ის არის საქმის მოღალატე, იმან გამოუთხარა ძირი ასეთ კეთილ საქმეს, იმან ჩაგვყარა წყალში, თვარა რა გვიჭირდაო! საყურადღებო ამ კიჟინში ის არის, რომ არც ერთმა მოკიჟინემ საქმის მდგომარეობა არ იცის და არც კი სურს, რომ გაიგოს. საზოგადო საქმე მას ფეხებზე ჰკიდია, ოღონდ კი საზოგადოებამ მის კიჟინს ყურადღება მიაქციოს. და მოგეხსენებათ, რომ ჩვენში უცოდველი არავინ არ არის. აქედან აშკარათ ჩანს, თუ ნამდვილათ რა უთხრის ჩვენში ძირს ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეს: მარტო საქმის გამგეა აქ დამნაშავე, თუ ამაში უფრო დიდი წილი თვით საზოგადოების წევრთ უდევთ? ეს კითხვა გამოიწვია გურიის ამხანაგობის „შუამავალის“ უკანასკნელმა კრებამ.

* * *

ეს კრება ჩვენ წინა კვირის ქრონიკაშიაც გვქონდა მოხსენებული, მაგრამ მაშინ კრების ანგარიში არ იყო გამოქვეყნებული. დღეს კი ეს ანგარიში ხელში გვაქვს. უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ დიდ საგონებელში ჩაგვაგდო ჩვენ ხსენებული კრების ანგარიშის წაკითხვამ. თითქო აქ რაღაც აკლიაო, თითქო ეს დაუმთავრებელი არისო. მაგრამ ანგარიშს ხომ იმის მეტის არაფრის გადმოცემა არ შეეძლო, რაც თვით კრებაზე არ მომხდარა! ამიტომ ასეთი ნაკლული, ასეთი დაუმთავრებელი თვით კრება უნდა ყოფილიყო, ის კრება, რომელსაც ყველა დღემდე მომხდარ კრებებზე უაღრესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ხსენებული კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა შეცვლილი წესდების დამტკიცება და მიღება და ამასთანავე 50 კაცის არჩევა, რომლებმაც 500—600 წევრის დაუკითხავათ ოთხი წლის განმავლობაში თავისი ნებით უნდა აწარმოვონ ამხანაგობის საქმე. კრება კი ყოველსავე ამას თითქმის სულ უყურადღებოთ ტოვებს და ასე გგონიათ, მხოლოთ იმიტომ შეუყრიათ თავი ერთათ, რომ ამხანაგობის დღევანდელი გამგე, ბ-ნი თავართქილაძე, გაასამართლონ! საკვირველია, თქვენმა მზემ! კ. თავართქილაძემ ამოხადა ამხანაგობას სული, გამოუთხარა მას ძირი, ერთი სიტყვით ამხანაგობა დაღუპა, იგი მხოლოთ ზარალობს და იმავე დროს კი დივიდენდის განაწილებაზე და ახალი გამგესთვის ჯამაგირის დანიშნაზე ბაასობენ! როგორ შევარიგოთ ერთმანეთთან ეს ორი აშკარა წინააღმდეგობა? ან ამხანაგობა მართლა დაღუპულია და იგი მხოლოთ ზარალობს, და ამ შემთხვევაში არც დივიდენდის დარიგებაზე და ჯამაგირების დანიშნაზე შეიძლება ლაპარაკი, ან ამხანაგობის საქმე ისეთ უბედურ მდგომარეობაში არ არის, როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენება გვეუბნება. ჩვენ, რასაკვირველია, ამის გარჩევაში ვერ შევალთ; ეს მხოლოთ კრების დამახასიათებელ ნიმუშათ მოვიყვანეთ. აშკარაა ყველასთვის, რომ თუ გამგის ანგარიში უსაფუძვლო და შემცდარია, არც კამისიის ანგარიშია საქები. სამწუხაროთ, კამისიის ანგარიში სრულათ ჯერაც არ არის გამოქვეყნებული. ამ მხრით თვით კამისიაც ისეთივე საყვედურის ღირსია, თუ კიდევ მეტის არა, როგორც გამგე. და მართლა რას აკეთებდა იგი მთელი წლის განმავლობაში? ბევრი ვეძიეთ ჩვენ ეს, ბევრი ვადევნეთ მას თვალ-ყური, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ გავიგეთ, გარდა ყვედრებისა და დრტვინვისა; და ეს ხომ გასამართლებელი საბუთი არ არის! ამას გარდა, რას ნიშნავს კამისიის ზოგიერთ წევრების ასეთი განცხადება: „ჩვენ გამგის შესახებ ბევრი საიდუმლო რამ ვიცით, და რაც ვთქვით, თუ არ დაგვიჯერებთ, მაშინ იმ საიდუმლოებასაც გამოვამჟღავნებთო“. თუ რომ კამისიის წევრები უფრო წინდახედულნი ყოფილიყვენ, ასეთ ორ აზროვან სიტყვებს არ წარმოთქვამდენ კრებაზე. ნუ თუ ამ ნაირ ზომასაც იმიტომ მიმართეს, რომ დღევანდელი გამგე კიდევ უფრო გაეშავებიათ საზოგადოების თვალში? ერთი სიტყვით, უნდა გამოვტყდეთ, რომ გურიის ამხანაგობის 13 თებერვალს მომხდარი კრება უფრო პიროვნულ შურის ძიებაზე ყოფილა აგებული, ვინემ საზოგადო სარგებლობაზე.

* * *

მაგრამ რაღა მარტო გურიის ნორჩ ამხანაგობას ვუსაყვედუროთ, რომლის თანხა რის ვაი-ვაგლახით იქმნა შეგროვებული და რომლის გამგეს დღემდის არავითარი სასყიდელი არ ეძლეოდა შრომისათვის. სხვა თუ არაფერი გაუკეთებია ამ ამხანაგობას, ის სარგებლობა მაინც კი მოუტანა გურიას, რომ მისი მეოხებით ჩარჩების გაიძვერობა და თავგასულობა რამდენიმეთ მაინც აილაგმა და აბრეშუმის ფასმაც ერთი ორათ იმატა. ახლა ერთი ვიკითხოთ, თუ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას იმ დაწესებულებამ, რომელსაც თავიდანვე დიდი შეძლება ჰქონდა? ჩვენ ვამბობთ „კავკასიის საბრეშუმო სადგურზე“, რომლის შვენიერი და კოხტათ მოწყობილი სახლები მუშტაიდის ბაღშია გაშენებული. შეიძლება თქვენ არც კი იცით, რომ სადმე არსებობს დაწესებულება ამ სახელწოდებით. ეს გასაკვირველი როდია. მხოლოთ ახლა კი გთხოვთ, რომ „კავკასიის საბრეშუმო სადგურის“ არსებობაში ეჭვს ნუ შეიტანთ. ხსენებული სადგურის არსებობის დასამტკიცებლათ



არეულობა პარიჟის ბულვარზე.

ის კოხტა და ლამაზი შენობებიც საკმარისია, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ. რისთვის ააგეს ეს სახლები, რას აკეთებენ შიგ? ამას ნუ იკითხავთ, რადგანაც პასუხს ვერ მიიღებთ. მართალია, ვინც ადგილობრივ გაზეთებს კითხულობს, ის იქ არა ერთხელ ამოიკითხავდა ასეთ ამბებს: კავკასიის აბრეშუმის საკეთებელ სადგურში ეს და ეს სპეციალისტი წაიკითხავს ლექციას აბრეშუმის ჭიის კვებაზე, ან აბრეშუმის კეთების სარგებლობაზე და ამ საქმის გაუმჯობესობაზე და სხვა ამისთანები. მაგრამ ვის უნდა ეს, ვინ საჭიროებს ამ გვარ ლექციებში და დარიგებაში? ყველამ უწყის, რომ თფილისი ამიერ-კავკასიაში სრულებით აბრეშუმის მოყვანის ადგილი არ არის და თუ სადმე საჭიროა ასეთი ლექციები, ეს მხოლოთ იქ, სადაც აბრეშუმის მოყვანას მართლა მისდევენ, ე. ი. ქუთაისის და განჯის გუბერნიებში. კავკასიის საბრეშუმო სადგურის ნასწავლ მოხელეთ კი თფილისში მოუყრიათ თავი და ფეხ მოკეცილი სხედან. მთელი მათი მოქმედება აშკარათ გვეუბნება, რომ ამ ნასწავლ მეაბრეშუმეთ ჩინეთის სახელმწიფოზე უფრო შეტკივათ გული, ვინემ კავკასიაში აბრეშუმის მოყვანაზე. ამას გვიმტკიცებს ჩვენ შუშიდან მოწერილი კორესპონდენცია (იხ. „ახალი მიმ." № 4858). კორესპონდენტი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ აბრეშუმის მომყვანთ რიგიანი თესლი არაოდეს არა აქვთ და არც იმედი აქვთ, რომ იშოვონ, ვინაიდან ყოველთვის უცხოეთიდან მოტანილ თესლს ხმარობენ. „თქვენ შეიძლება იკითხოთო — ამბობს კორესპონდენტი — რას შვრება საბრეშუმო სადგური თფილისში თავისი განყოფილებით, შუშაში და ნუხაში ის სადგური, რომლის განკარგულებას ქვეშ იმყოფებიან მრავალი მოხელეები და რომელსაც დიდი სახსარიც აქვს. შეიძლება მეცნიერებისთვის ამ სადგურს ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ პრაქტიკულათ კი ის ყოვლად უსარგებლოაო." ამნაირათ ჩვენ დღეს შევიტყვეთ, რომ შუშაში და ნუხაში კავკასიის საბრეშუმო სადგურს თავის განყოფილებანი ჰქონებია. ჩვენ ეს ამბავი დღეს გავიგეთ, მკითხველო, მარა იმ ადგილების მცხოვრებლებმა, სადაც ეს განყოფილებები არსებობენ, დღემდისაც არ იციან იმათი არსებობა. ამიტომ რა გასაკვირველია რომ აბრეშუმის მოყვანის საქმე ჩვენში კუს ნაბიჯით მიდიოდეს, ხოლო აბრეშუმის სადგურის მოხელეთა ჯიბე ჩქარა ივსებოდეს.

* *
*

ჯიბის გატენა არა ნაკლებათ ცოდნია ამ ჩვენ ბედდოულათიან საბჭოს. მას გამოუძებნია ისეთი წყარო, რომელიც სახელმწიფო კანონმდებლობის მიერ უკანონოთ არის ცნობილი, მაგრამ რომელსაც თფილისის ქალაქის გამგეობა თავს არ ანებებს. ჩვენ ვამბობთ მეტივეების გადასახადზე. თფილისის ქალაქის გამგეობა დიდი ხნიდან ახდევინებს მეტივეებს 20—30 კაპეიკამდის თითოეულ ხის კუნძზე მტკვრის ნაპირას გაჩერებისთვის. ასეთი გადასახადი მეტათ სამძიმო არის საწყალი მეტივეთათვის, რომლებიც ორიოდ გროშისთვის ყოველ წამში სიკვდილს ებრძვიან ხოლმე. ამიტომ ისინი დიდი ხანია შუამდგომლობენ ამ გადასახადის მოსპობას ან შემცირებას. თავის მხრით თფილისის პლუტოკრატების თვითმართველობა დიდ მეცადინეობაშია, რომ ეს უკანონო გადასახადი არ მოისპოს. ამიტომ მას უშუამდგომლია საშინაო საქმეების სამინისტროში, რომელსაც 1891 წ. ნება მიუცია ხუთი წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობამ იღოს ეს გადასახადი იმ პირობით, რომ ქალაქმა მდინარის პირას მისადგომი ადგილები გააკეთოს და შემდეგ გადასახადიც შეამციროსო. ამის ვადა გავიდა 1896 წელს, მაგრამ ქალაქის საბჭო ისევ არხეინათ ღებულობს მეტივეებისაგან თითოეული ხის კუნძის გაჩერებისთვის 20—30 კაპ., რაც ქალაქის ხაზინას 10—15 ათას მანათს აძლევს ყოველ წლივ.



მუშათა მიტინგი.

ალბათ ამ ფულს ის თფილისის პოლიტეხნიკუმში შეიტანს საწყალ მეტიეეთა საკეთილდღეოთ!

***

— თუ თვით ამ მეტიეეებს არ მოესწრება თფილისის პოლიტეხნიკუმი, იმათი შვილები ხომ მაინც შევლენ იმაშიო, — იტყვის ვინმე ოხუნჯობით. რომელ სასწავლებელში შევლენ მომავალში დღევანდელი მეტიეეების შვილები, ეს ჩვენ არ ვიცით; ჩვენ

მხოლოთ ის ვიცით, თუ სად ეწევიან ისინი დღეს შრომის უღელს. ამისათვის ჩვენ შორს არ წავალთ. მკითხველს დავუსახელებთ ჩვენ აქ „თფილისის ფურცელის“ № 44, რომელშიაც მიქცეულია ყურადღება თფილისის თუთუნის ფაბრიკებში მცირე წლოვან მუშებზე. ხსენებულ ფაბრიკებში მუშაობენ აუარებელი ბავშები 10—14 წლისანი. სამუშაო დღე იწყება დილის შვიდი საათიდან და გრძელდება ღამის 11 საათამდე. ამნაირათ სამუშაო დღე მცირე წლოვან ბავშებისთვის განსაზღვრულია, როგორც ხედავთ, 15 საათით. გაზეთის სიტყვით, ვინაიდან ჩვენში საფაბრიკო ინსპექცია არ არსებობს, ამ უსამართლო ნორმალურ მდგომარეობას ყურადღებას არავინ აქცევს. თავისთავათ იგულისხმება, რომ იმაზე, თუ რას ნიშნავს 15 საათის განმავლობაში თუთუნის ფაბრიკაში მუშაობა არა მარტო მცირე წლოვანთათვის, არამედ მოზრდილთათვისაც, ხსენებული გაზეთი არას ამბობს, უთვალავი ბავშები მუშაობენ არა მარტო თუთუნის, არამედ ყოველნაირ ფაბრიკებში, მარა იმათ მდგომარეობას არავინ ყურადღებას არ აქცევს. მოვა დრო, როცა ისინი ძალა უნებურათ მიიქცევენ თავისკენ საზოგადოების ყურადღებას!



## კუდ-ქიცინა მეგობარს.

ცი ყველას ეჯავრება
რიდე-ახდით პირში მთქმელი,
ხედავ, რომა ყველასა ძულს
მოუბარი პირუთვნელი.

—

იცი რომ ბრბოს წრფელი სიტყვა
გულს უგმირავს, როგორც ტყვია,
მისი გულის საიდუმლო
ზედ-მიწევნით შეგიტყვია. —

—

და სარგებლობ შენ ამ ცოდნით,
მელასავით იქნევ კუდსა;
შეწმახნული ტკბილი ენით
ემსგავსები მტრედის ხუნდსა!..

—

მით იზიდავ, საზარელი,
გულ-უბრყვილო ხალხის ჭკუას
და ნავარდობ იმის ზურგზე,
ჭეჭყავ, როგორც ჭია-ღუას!..

ფიე!.. შორს, შორს კუდ-ქიცინავ!
ხმარობ ცბიერ გარეგნობას
და საბრალოს, გულით ალალს,
მით უცხადებ მეგობრობას!!.

—

მაგრამ მე ვერ მომატყუებ,
შემიგნია შენი წესი:
მომპარავი მაღლი არის
მეეფარაზე უარესი!..

დ. თომაშვილი.

## წერილი ამერიკიდან

(დასასრული) *)

არჩევნების დრო ნიუ-იორკში ბრაინის კვალს ადგა ჰენრი ჯორჯიც. ჰენრიც ბრაინისებური რეფორმატორი გახლდათ. ბევრი რამ ითქმოდა ჰენრის შესახებ, მაგრამ იძულებული ვარ სიტყვა შევამოკლო. ჰენრი ჯორჯი ცნობილია, როგორც ამერიკაში, აგრეთვე ევროპაში, რუსეთში და ჩვენშიაც როგორც ამერიკელი პოლიტიკო-ეკონომი, როგორც ავტორი progress and poverty, Prollem of Socialism და სხვ. დ სხვ... განსაკუთრებით ჰენრი ჯორჯი სახელ განთქმულია 1886 წლიდან, როცა ნიუ-იორკელ მუშებისაგან იქმნა დანიშნული ნიუ-იორკის მეიორის კანდიდატათ, რამაც მხოლოთ წამით გამოიწვია მუშებთა შორის ეგრეთ წოდებული „ჯორჯის მოძრაობა“. მაგრამ 1886 წ. ჰენრი არ იქნა მეიორათ არჩეული და მოძრაობაც გაჰქრა. მუშები ჰენრი ჯორჯში მოელოდენ ბელადს, წინამძღოლს, მათ ინტერესების დამცველს. მართლაც ჯორჯს, როგორც ნიჭიერს, ცოდნით აღჭურვილს, როგორც შესანიშნავ ორატორს, მასთან ნიჭიერ მწერალს, შეეძლო ეს მძიმე ტვირთი ეტვირთა და გამხდარიყო მუშებთა წინამძღოლი. მაგრამ საუბედუროთ ნაცვლათ ამისა სულ სხვას ვხედავთ ჯორჯში.

ჯორჯი არ იქმნა არჩეული მეიორათ და ეს საკმარისი იყო მისთვის, ზურგი ექცევნებინა მუშებთა შეგნებულ პარტიისთვის და ეწყო მოქმედება მათ წინააღმდეგ. ამ დღიდან ჰენრის ვხედავთ როგორც მუშებთა მოწინააღმდეგეს და არა მომხრეს. უკანასკნელათ წელს მიიღო კანდიდატურა დემოკრატთა პარტიის ერთი ნაწილისაგან. არჩევნების დროს მხნეთ

*) იხ. „კვალი“, № 7.

შრომობდა, განუწყვეტლივ ყოველ დღე პროპაგანდას ეწეოდა ხალხში და იცავდა დემოკრატთა პლატფორმას. მაგრამ მოხუცებულმა, მასთან დაავათმყოფებულმა, ჯორჯმა ვერ აიტანა ამდენი შრომა და არჩევნების სამი, ოთხი დღის წინეთ უცბათ გადაიცვალა აპოპლექსიით. რასაკვირველია დიდი ამბით, პატივით დაასაფლავეს ჯორჯი მისმა მომხრეებმა. ქებათა ქება უძღვნეს ბურჟუაზიულ გაზეთებმა, მაგრამ შეგნებულ მუშებთა შორის არავითარი სიმპატია არ მოუპოვებია ჯორჯს, არამედ „მოღალატეს“ სახელი მოიხვეჭა მათ შორის და მართლაც სამართლიანათ.

არჩევნის დღეს და მის წინა დღეს წყდება ყოველივე მოძრაობა. არსად მიტინგი, არსად მაჩი; მაღაზიები, ფაბრიკები დაკეტილია, არსად ვაჭრობა, არსად მუშაობა; სკოლებში მეცადინეობა წყდება, მხოლოთ ფარულათ კენჭს უყრიან კანდიდატებს დანიშნულ ადგილებში. მოძრაობა, გაცხარებული მუშაობა მარტო ლუდხანებშია არჩევნის წინ დღით. ბევრი ლუდი იხარჯება ამა თუ იმ ბურჟუაზიულ პარტიის ხარჯით. როგორ უნდა შევკადრო ამერიკას ამ გვარი საქციელი, მაგრამ ამბობენ უმეტეს ხმებს ბურჟუაზიული პარტიები ფულით შოულობენო. შარშან თურმე მიკენლი რესპუბლიკანელებთ მილიონზე მეტი დაუხდათ. ამბობენ თითო ხმა ღირს სამი დოლარი და უზომო პივოო. საუბედუროთ მუშებთა შორის მრავალი მოიპოვება თურმე, რომელნიც სამ დოლარში აძლევენ ხმას და პივოსაც უზომოთ მიირთმევენ. ამიტომ არჩევნების მიწურულში ხშირათ შეხვდებით გადაკრულთ, რომელნიც ჩახრინწილი ხმით უყვირიან ურას ამა თუ იმ კანდიდატს, იმის და მიხედვით, თუ რომელ პარტიის პივოს გაელენის ქვეშ არიან. თვით არჩევნების დღეს 2 ნოემბერს დაღამდება თუ არა ისევ სურათი იცვლება. ატყდება ისევ შფოთი, ალიაქოთი. გამოდიხარ ქუჩაში და არა ჩვეულებრივ სურათს ხედავ: მთელი ქალაქი ცეცხლის ალშია გამოხვეული. ყოველ ქუჩაზე მწკრივათ, ორივ მხრივ, ყოველ სახლის წინ ცეცხლია გაჩაღებული, რომლის ალი თვალით უწვდენელ სახლის სართულამდის უწევს, ასე გგონია მთელ ქალაქს ცეცხლი მოედებაო. ცეცხლის გარშემო მოგროვილან ჯგუფ-ჯგუფათ ბავშები, რომელთა ყვირილ-ჟღივილს საზღვარი არა აქვს. ზოგი ქაღალდის გროვას მოარბენინებს, ზოგი ყუთებს, ფიცრების ნამტვრევს, და აძლიერებენ უმისოთაც გაჩაღებულ ცეცხლს. ზოგან ერთმანეთს სტაცებენ ცეცხლ-მოდებულ ფიცრებს და ისვრიან მაღლა აქეთ-იქით ალიან ნიგუზლებს მთელი ქუჩები ნაკვერცხლებითაა დაფარული.—ეს რა ამბავია? რას ჩადიან ბავშები, და რატომ არ უშლიან?! გაოცებულმა ვკითხე ჩემ თანამოგზაურს, როცა პირველათ შარშან პრეზიდენტის არჩევნის დროს ვნახე ეს სურათი.—ბავშებს ამას ვერავინ დაუშლის, ეს ჩვეულებათ აქვთ მათ გადაქცეული; ბავშები ამით დღესასწაულობენ არჩევნის დღეებს. ამ ჩვეულების ასასრულებლათ რამდენსამე კვირის წინეთ ემზადებიან ბავშები. იპარვენ ბოჩკებს, ძველ ყუთებს, ფიცრის ნამტვრევებს და ამ დღისათვის ინახვენ.—აი ვერა ხედავ, როგორ ძლივს მოათრევენ ბავშები ბოჩკას? მითხრა თანამოგზაურმა და მიმითითა რამდენსამე ბავშზე, რომელნიც ძლივს ეზიდებოდენ სარდაფიდან უშველებელ ბოჩკას; მათ მოეშველენ კიდევ სხვებიც, ამოათრიეს, მილეწ-მოლეწეს ერთ წუთში; ორმა მოარბენინა ქაღალდის გროვა, ერთმა გაჰკრა წუმწუმს და გააჩაღეს ცეცხლი, ურა, „from social-laybor party“-ს ყვირილით. ეტყობოდა პატარა ბავშებიც მუშათა პარტიას თანაუგრძნობდენ, ზოგან გაჰყვირიან ურა ბრაინი, ზოგან მიკენლი, ზოგან s. l. p. ერთი ნაწილი ბავშებისა ამაშია გართული ხოლო მეორე ნაწილი გამწარებული, ხელში გაზეთებით და exstra! exstra!-ს ყვირილით გარბი-გამორბიან და გაზეთებს ჰყიდიან. ესენი კი ვახშმისათვის ზრუნავენ. არც დიდების საქციელია ჩვეულებრივი; ქუჩებში მიმავალ-მომავალისაგან ტევა არ არის. კაცი, ქალი, დიდი პატარა არეულია ერთმანეთში, ყველას უკავია საყვირი ან საჩხრიალებელი ან საფშტვენ-საწრიპინებელი, ყველა ყვირის, ჩხავის, წრიპინობს, და გაიძახის ურა მიკენლი, ბრაინი და სხვა. უმრავლესობა მიისწრაფის იმისთანა ადგილებში სადაც ყოველ წამში შეუძლია შეიტყონ რომელ კანდიდატს რამდენი ხმა ამოუვიდა, თუ რომელი პარტია იმარჯვებს, რომელი მარცხდება. ჩვენც წავედით ერთ უდიდეს რედაქციაში. World-ს, სეირის საყურებლათ. აქ კი სულ აირია მონასტერი. მოედანი, ახლო მახლო ქუჩები სულ გაჭედილია ხალხით, არსად ტევა არ არის, იგივ ყვირილი, იგივ ჩხავილ-წრიპინი, ყიჟილ-ბზუილი არეულია ერთმანეთში. კონკების ეტლების მოძრაობა შეჩერებულია, შეჩერებულია, რადგანაც ხალხის სიმრავლის გამო ტევა აღარ არის. კუჩრების მედარა „მომეცალე გზაზე“-ო ამათ რჩება, მხოლოთ ზევით სახლის თავებზე თავისუფლათ მიჰქრის, მიქშუის ხალხით გაჭედილი ორთქლ-მავალი. დავანებოთ ამათ თავი და მივაქციოთ ყურადღება თვით რედაქციის შენობას. რედაქციის შენობა განათებულია სხვა ფერად-ფერადი ელექტრონით. შენობის შუაში აქეთ-იქით კედლებზე შავია რაღაც აფარებული, სადაც წამ და უწუმ ფერადათ იწერება ციფრები, რომელიც აღნიშნავს თუ რამდენი ხმა ამოუვიდა ამა თუ იმ კანდიდატს ამა თუ იმ შტატში. ახალ

ციფრებს მოსდევს ტაში, ურა... აგრეთვე ყოველ წუთს დაუყოვნებლივ ჩნდება ახალ-ახალი სხვა და სხვა სურათები. პირველი სურათი, რომელსაც თვალი მოვკარი აი რა იყო. უცბათ გამოჩნდა მაღალი, ჭაღარა, გრძელ წვეროსანი, ფრაკოსან-ცილინდროსანი კაცი. ეს გახლავთ Uncle Same (ბიძა სამი, შეერთებული შტატების სიმბოლოა) მასთან გამოჩნდა კლივილენდი, ძველი პრეზიდენტი, რომელიც მოხუცს მოწიწებით თავს უკრავს: უკანასკნელიც თავაზიანათ ეპყრობა, ხელს ართმევს და საუბარსაც გაუბამს. უცბათ მოხუცს სახე ეცვლება, მრისხანე სახეს მიიღებს, ფეხს უბრახუნებს, მერე თითით ემუქრება კლივილენდს, მერე ცხვირში ხელს აჰკრავს (სიცილ ხარხარია მაყურებელთა შორის). ამასაც არ აჯერებს. მოხუცი გაჯავრებული დაღრეჯილი ორივ ხელებს სტაცებს კლივილენდს ცალ ფეხში, რამდენიმეჯერ გააქან-გამოაქანებს, შეატრიალ-შემოატრიალებს და გადისვრის. (ხალხში სიცილია უზომო) დაიკარგა კლივილენდი, მის ადგილზე გამოჩნდა მიკენლი (ტაშის ცემაა) აქ კი გამხიარულდა მოხუცი, სიცილით მიესალმა მიკენლის, ხელი ჩამოართვა, ხელი ხელს გაუყარა. დასხდენ საუბრათ. გამოჩნდა ბრაინი, გამოჩნდენ სხვებიც. ეს სურათები იკარგება. წამ და უწუმ ჩნდება სხვა და სხვა სახუმარო კარიკატურული ან ალეგორული სურათები. აგერ გამოჩნდა კიდევ კლივილენდი, ფერმერი მიწის მუშა ტანისამოსში გამოწყობილი, ხელში ჩოთქით და წმენდს კუდ მოჭრილ ცხენს. მის პირდაპირ ჩნდება მიკენლი და ირონიულათ უყურებს, თითქოს ეუბნება, პრაწი კლივილენდსო, წაგივიდა დრო და დადგა ჩემი დროვო. ცხენი ჯავრობს, კვინტრიშობს, ახლო არ იკარებს კლივილენდს, ბოლოს ჰკრავს წიხლს და გადისვრის. (ხალხში უზომო სიცილ ხარხარია)

დაიკარგა კლივილენდი, ცხენი, მიკენლიც. ახლა კიდევ სურათები. აგერ კიდევ მიკენლი, კლივილენდი, ბრაინი ყველა ერთათ, ერთი შესკუპულა ვირზე, მეორე ღორზე და მესამეც რაღაც მხეცზე დ ერთათ მიცუნდრუკებენ. რასაკვირველია სურათების ცქერით სიცილს ვერ იკავებ, შენც იცინი, ხარხარებ სხვებსავით, მაგრამ მასთანვე გიკვირს. გიკვირს ეს არა ჩვეულებრივი სურათები. ფიქრობ: კლივილენდი,—პრეზიდენტი, მიკენლი, ბრაინი—ერთი მათგანი მომავალი პრეზიდენტი, ესენი ხომ აქაური დიდი ბობოლები არიან და რატომ ასე მოურიდებლათ ეპყრობიან, სასაცილოთ იგდებენ, ვირზე, ღორზე სვამენ თითქო საყეენოთ იყონ გამოწყობილი. ეს ხომ შეურაცხყოფაა. ნუ თუ არავინ ხედავს, ნუ თუ არსად არის პოლიცია, რომ ეს თავხედნი, შეურაცხყოფელნი გაბაწრონო, ფიქრობ და აქეთ იქით იხედები თუ სადმე ჩანს პოლიციელი. და რას ხედავ? აგერ ჩემ გვერდში ატუზულან რამდენიმე გაბერილი პოლიციელნი, ხელში „დრუჩოკით" ესენიც სიამოვნებით შესცქერიან, ერთმა კიდეც წამოიყროყინა all right (ძალიან კარგია). ღმერთო! ეს რა ამბავია, აგერ ბობოლეებს შეურაცხყოფას აყენებენ, სასაცილოთ იგდებენ, პოლიციელი ყველაფერს ხედავს და ესეც all right-ს გაიძახის. ამ გვარ დიდ ბობოლეებს კი არა სხვაგან უბრალო მომაკვდავ წვრილ ფეხა ჩინოვნიკებს რომ რამე გაუბედონ, მაშინ ხომ ეგრედ წოდებულ ვ. აბანოს არ დააჯერებენ, ცხრა მთას იქით გადააცილებენ. მაგრამ აქ ირკვევი, გონში მოდიხარ და ხედავ რომ ამერიკაში ხარ და არა სხვაგან. ოჰ, ამერიკა, აქ ყველაფერი შეიძლება, ბუტბუტებ და ახლა სხვაგან მიდიხარ. სხვაგანაც იგივ შფოთი, ალიაქოთი, იგივ ყვირილ სიცილი, იგივ სხვა-დ-სხვა გასართობი სურათები. ამ შფოთალიაქოთში შეუნიშნავათ გადის დრო. დაჰკრა ღამის თორმეტმა საათმა და მთელმა ნიუ-იორკმა შეიტყო, რომ ოქრომ სძლია ვერცხლს; მიკენლის გაუღიმა ბედმა და იქმნა არჩეული პრეზიდენტათ. ამას შემდევ უცბათ შეწყდა მოძრაობა, დამარცხებულთა შორის მხოლოთ გამარჯვებულნი რესპუბლიკანელნი არ ისვენებენ, მუსიკით, სიმღერით, ურას ყვირილით დადიან ქუჩა-ქუჩა, მათ სიხარულს, ამპარტავნებას საზღვარი არა აქვს. ნიშნათ გამარჯვებისა ხელში უკავიათ მამლის ,,ჩუჩელო". აი ამგვარ შფოთი—ალიაქოთით იწყება და თავდება არჩევნები. გათენდა მეორე დღე და ისევ იწყო ძველებური, ჩვეულებრივი ციებ ცხელებრივი მოძრაობა. მაგრამ მიკენლის, ბრაინს, რომელნიც წინ დღეს ყველას პირზე ეკერა, დღეს არვინ იგონებს, გაჰქრა მათი ხსენება. ან ვის სცალია, ყველას ახლა პირადი საქმე აინტერესებს, აწუხებს, მისთვის ზრუნავს. ან ვის რათ ეინტერესება მიკენლი, ბრაინი? აირჩიეს მიკენლი, მორჩა, გათავდა; ვისაც მოწონს—მოწონს, კმაყოფილია; ვისაც არ მოწონს—ისიც გაჩუმებულია, კარგათ იცის ვერას უშველის, წარსული საქმეა. მხოლოთ გაზეთები არ ისვენებენ. მკითხველებს აწოდებენ დაწვრილებით ცნობებს წარსულ არჩევნების შესახებ. ხუმრობას, დაცინვას ხომ საზღვარი არა აქვს. სხვა-და-სხვა მრავალ კარიკატურულ სურათებთა შორის ყოველ გაზეთებში შეხვდებით ამ გვარ სურათს: დახატულია დიდი ჯამი წვნით სავსე, საიდანაც ამოუყვიათ ფეხები დამარცხებულ კანდიდატებს, გამარჯვებული კი არხეინათ წვენს მიირთმევს.

ა. ამერიკელი.

## რა მოუვა სოსიკას.

(მოთხრობა ქართლის ცხოვრებიდან)

### X.

ქრისტეშობისთვის საღამო იყო; ცა მთლათ მოწმენდილიყო; მზე ჩადიოდა და დაუთოვლავ არე-მარეს ყინვა თანდათან ემატებოდა. აი, დაბინდდა და ნათლათ გამოჩნდა ცაზე ნახევარი მთვარე, რომლის შუქიც ეფინებოდა მთელ სოფელს. სოფ. ბლუეთში ყველანი ემზადებოდენ მომავალი დღესასწაულის დასახვედრათ; ასუქებდენ სასუქებს და იმზადებდენ ახალ ტანისამოსს.

აგერ ტასიასაც დაება სახლში ბოძზე ორი გასუქებული ყვერული, დაენთო ბუხარში ცეცხლი, მოისხა აქეთ-იქით თავის პატარა შვილები ცეცხლთან და წინდასა ქსოვდა.

— დედა, მამა არ მოვა?! - ჰკითხა ტასიას ილიკომ და თან თვალებში შეაცქერდა.

— „მოვა შვილო, ის ფაჩუჩებს მოგიტანს, მე წინდებს გაგითავებ და ჩაგაცმევ; შობას დავკლათ ჩვენი ყვერული—მამა ნუნუას გვიყიდის, დავსხდეთ და ვიქეიფოთ!..“—ეს უთხრა ილიკოს და თან მხურვალეთ ჩაჰკოცნა.

— „დედა, მე კი არ მამიტანს ფაჩუჩებსა მამაი?!... ჰკითხა ტასიას, პატარა შაქრომ.—შენცა, გენაცვალოს დედაი—უპასუხა ტასიამ—და თან ხელები მოხვია და ჩაიკრა გულში.... ამ დროს მოისმა გარედან ფეხის ხმა და ხმაურობა:—„ჰაი ნუ გეშინია“ —„მაგრა იყავ, ფიქრი ნუ გაქ“—„ასწი კაცო, რა გემართება!“—ისმოდა გარედან ეს ხმაურობა და თან თითქო რაღასაც მოათრევდენ. ტასიამ გაუშვა ხელი შაქროს, გადააგდო წინდა—წამოხტა ზეზე და შეშინებული მუხლების კანკალით მიიჭრა კარებთან, მაგრამ კარების გაღებას ვერ ბედავდა; შაქრო და ილიკო შემოეხვიენ დედას და სულ-განაბულები მაგრა უჭერდენ კაბის კალთებს. აგერ გაიღო უცბათ კარები და ორმა ნაცნობმა კაცმა შემოიტანეს ფეხებ ათრეული, პირ სისხლიანი სოსიკა.

ტასიამ დაიკივლა: „ვაი ჩემ დანელებასო.“— მოეკვეთა მუხლთ და დაეცა ძირს გულ შეწუხებული.

სოსიკა საჩქაროთ მიიტანეს ბუხართან და მიასვენეს კედელზე. გაუშვა ერთმა ხელი, გადმოიღო ლოგინი, გაშალა ძირს და დააწვინეს; ამ ხმაუროვაზე მეზობლები გამოექანენ სოსიკას სახლისკენ და კითხულობდენ: „რა ამბავია!“ „რა მოსვლია საწყალ სოსიკასაო?!“..

შეცვივდენ სახლში; მოაშორეს გულ შეწუხებულ ტასიას მტირალი ბავშები და თითონაც ძლივს მოასულიერეს. გაუსწორეს სოსიკას ლოგინი, დაუდვეს თავით ბალიში, დააწვინეს გულაღმა და დახურეს საბანი.—ხალხი წავიდ-წამოვიდა, მხოლოთ დარჩა ტასიასთან რამდენიმე ხნიანი ადამიანი. მოუჯდა ტასია ავათმყოფს გვერდზე, თან ჩაცქეროდა პირ-სისხლიან ქმარს და თან გულ ჩათუთქულს ცვიოდა თვალებიდან ცრემლები; ილიკო და შაქროც მიუახლოვდენ მამას; იცნო თუ არა პატარა შაქრომ მამა, წამოიძახა: „აგელა ილო, მამაი!“

ამ დროს გაახილა სოსიკამ თვალები და დაინახა თვალ ცრემლიანი ტასია და პატარა შვილები. დაუწყო სულთ-მობრძავმა სოსიკამ თავის შვილებს ცქერა,—უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, მოერია თვალებში ცრემლი და დახუჭა ისე თვალები. ამ დროს ვეღარ მოითმინა ტასიამ და ტირილით ჩაჰყვირა ქმარს:

„სოსიკა! აბა ერთიც გაახილე თვალები, შეხედე შენ პატარა შვილებს, როგორ გულ ჩათუთქულები გიცქერიან ენა ჩავარდნილ მამას“. - ამ ლაპარაკზე გაახილა სოსიკამ უკანასკნელათ ცრემლიანი თვალები, შეხედა შვილებს, მიხედ-მოიხედა, ერთი ამოიკვნესა, გაიზმორა და სამუდამოთ დახუჭა თვალები...

ტასიამ დაუწყო ხელით ნძრევა ქმარს და თან მოთქმით ტირილი მორთო „შენი ჭირიმე სოსიკო, ერთი შენი ხმა გამაგონე, მითხარი, რამ ჩაგიგდო ენა და ან რამ ამოგადინა პირში სისხლი?!. მითხარი!!“.. და მოეხვია ქვითინით; მიცვივდენ ქალები და ძლივს მოაშორეს გულ-შეწუხებული ტასია მკვდარ ქმარს.

### XI

სოსიკას რკინის გზაზე მუშაობაში ვაგონიდან გადმოვარდნილი რკინა ისე მაგრათ დაეცა წელზე, რომ გული შეუწუხდა და ძლივს მოასულიერეს ამხანაგებმა. სოსიკა შეეხვეწა ამხანაგებს: სხვაგან ნუ მომკლამთ, ჩემ სახლში წამიყვანეთო! ორმა მეზობელმა ამხანაგმა—რომლებსაც ძრიელ უყვარდათ სოსიკა, მოჰკიდეს აქეთ-იქიდან ხელი და იმავ საღამოს წამოიყვანეს სახლში. მოჰყავდათ სოსიკა სახლში ეს კი, რაც ხანი გადიოდა, უფრო ავათ ხდებოდა. როგორც მოახლოვდენ სოფელ ბლუეთს, სოსიკას პირიდან ამოაღებინა სისხლი; სოსიკა ამან ძალიან შეაშინა, მაგრამ ამხანაგები იმედს აძლევდენ, ბევრისთვის უღებინებია პირიდან სისხლი, მაგრამ დღესაც კარგათ არიანო.

„არა ძმებო„—წამოთქვა სუსტი ხმით სოსიკამ —ისე ჩემმა მტერმა და თქვენმა მტერმა იცოცხლოს, როგორც მე ვიცოცხლებ; ვეღარ მოვესწრები ჩემი ცოლისა და პატარა შვილების ნახვას, გზაში უნდა დავლიო სული...

„ვაიმე, ვაიმე, სოსიკა, შენ იყავი აქამდის ჩვენი ნუგეშის მცემელი, დღეს კი შენ გახდი ნუგეშ საცემი, რა გატირებს, აგერა ფილორჩში შევედით და მალეც მიგიყვანთ სახლში—ანუგეშებდენ ამხანაგები. სოსიკოს მუხლთ მოეჭრა და ძლივას აგონებდა ამხანაგებს: „თქვენი ჭირიმე, ძმებო! რა სიკეთეს მიშერებით; მე ხომ ვკვდები და ვეღარ გადავიხდი თქვენს ამაგს, ღმერთმა გადაგიხადოთ ჩემ მაგიერათ; ვინძლო, ძმებო, თვალი გეჭიროთ, ნურვის დააწიოკებინებთ ჩემ ცოლ-შვილს...—აქ ჩაიკეცა ძირს სოსიკომ, პირიდან ამოაქცია სისხლი, ერთხელ კიდევ ამოიძახა „ჩემი პატარა შვილები, ილიკო და შაქრო.... და მუხლებში ჩაიკეცა. აი, ეს დრო იყო, რომ თვალ ცრემლიანი ამხანაგები უყვიროდენ და ამხნევებდენ სოსიკას: „ჰაი, ნუ გეშინია“—„მაგრა იყავი, ფიქრი ნუ გაქვსო, და ფეხებ ათრეული, შეიტანეს სახლში...

დამარხეს სოსიკა და დარჩა ტასია თავის პატარა შვილებით ულუკმაპუროთ მიწურ სახლში; ვეღარავინ ვეღარ ახარებდა ტასიას გულს, ვეღარც შვილები და ვეღარც მომავალი ბედნიერი დღეები; შვილები ხედავდენ დაღონებულ თვალ-ცრემლიან დედას და ისინიც დაღონებულები ხან თვალს მოარიდებდენ დედას, ხან მიწვებოდენ ბუხართან და მიეძინებოდათ.

ქმრის დამარხვას შემდეგ საღამოობით აანთებდა კრუჩკას ტასია, დააძინებდა ბავშებს ლოგინში, მოუჯდებოდა ბუხარს და მიეცემოდა მწარე ფიქრს წარსულსა და მომავალ ცხოვრებაზე: „რა ვქნა, სად წავიდე! რით ვიცხოვრო! ეჰ, იმავ თავითვე დავბადებულვარ უბედურ ვარსკვლავზე და უბედურ ვარსკვლავზედვე უნდა მოვკვდეო“—იტყოდა ტასია და გადმოცვინდებოდა თვალებიდან ცრემლები; „პატარაობისას დამეხოცა დედ-მამა,—ობლობაში გამოვიზარდე, გავთხოვდი, მე ვთქვი, „ახლა მაინც გავიხარებ წუთისოფელში“ და ნახე რა მამივიდა! ამდენი ვეწვალე, ტანჯვა გამოვიარე, ყველა ავიტანე, ახლა... ახლა კი ვეღარ, ვეღარ ავიტან—თავი მაქვს მოსაკლავი“.

ამ დროს გადახედავდა მძინარე შვილებს და თვალ გაშტერებული ისევ ჩაფიქრდებოდა: „რა დამრჩენია ამ სოფლათ, რისთვის უნდა ვიცოცხლოვო.. არა, არა, უნდა მოვიკლა თავი... მერე შვილები.?!“—აქ წამოვარდებოდა ტასია, გიჟსავით დაიწყებდა სიარულს. „შვილები, შვილებს დავანებო თავი, რას მეტყვის სოსიკა: როგორ შევხედო პირზე!!..... არა არა, უნდა დავზარდო, ჰო დავზარდო, რითი?!.. ჭირნახული მე არა მაქვს და შვა, სხვა ვინ რას მომცემს! ისეთი არა მაქვსრა, რომ გავყიდო და იმითი გავიტანო ამ ზამთარს თავი; არა, არა, ვერ ვიკისრებ თქვენ დაზრდას; ცოდვით დამწვამთ, შვილებო შვილებო!!“...

ერთ დროს ამისთანა ფიქრებით გატაცებული, ტასია გაექანა ტირილით მძინარე შვილებისაკენ, ჩაუწვა შუაში და ხან ერთს ჰკოცნიდა გულში ჩაკრულს და ხან მეორეს. შემდეგ კვლავ ჩაიკრა გულში თავის პატარა შვილები და თვალ ცრემლიან დიდი ხნის უძილო ტასიას ისე ღრმათ ჩაეძინა, რომ გათენება ვერც კი გაიგო.

## XII.

შუა ღამე მოტანებული იყო. სოფელ ბლუეთში ყველას ღრმათ ეძინათ და ელოდენ ახალ წელიწადს. ცა ძირამდის მოღრუბლულიყო და აქა იქა სიბნელეში ცვიოდა მიწაზე თოვლის ფერფლები, არ ჩანდა არც ერთი მნათობი ცაზე, ბნელოდა. აგერ მხოლოთ ტასიას სახლის ჭუჭრუტანადან გამოჩანდა მქრალი შუქი. ანთებული კრუჩკა დაედგა ტასიას კერაზე, დაეძინებინა ლოგინში თავის პატარა შვილები, დამჯდარიყო გამქრალ ბუხართან, მიჭყუდებოდა ბუხრის კედელს და ნამტირალევი შესცქეროდა კრუჩკის შუქს. „ვაიმე კრუჩკაცა ჰქრება და კვლავინდებურათ თავს დამათენდება!. არა, არა, არ მინდა ახალ წელიწადს დავესწრო! წამოიძახა ტასიამ როდესაც შეატყო, კრუჩკას შუქი აკლდებაო, წამოხტა გიჟსავით ზეზე, დაავლო მომზადებულ თოკს ხელი, ჩაინთო ქვეით კრუჩკა, მიიდგა გოდორი და თავ ხეზე მაგრა ჩამოაბა თოკი, გაჰყო შიგ თავი, მერე ისევ გამოიხსნა და თქვა: „არა, არა, გამოვემშვიდობები ჩემ საყვარელ შვილებსო“. ჩამოვიდა ტასია გოდრიდან და ცრემლების ღვრით მივიდა ლოგინთან, გაჩერდა, დაიწერა პირჯვარი და თქვა: ღმერთო! შენ იყავი ამ ჩემი პატარა შვილების პატრონიო. შემდეგ მოჰკიდა ფრთხილათ ორივეს ხელებზე ხელი და თქვა: „ვაიმე, შვილებო, გღალატობთ, გღალატობთ!“. აკოცა ორივეს ფრთხილათ, ხელებზე მოუჭირა ხელები,—„ვაიმე კრუჩკა ჰქრება მშვიდობით, შვილებო“... ამ დროს გაუშვა ხელები და წავიდა სახრჩობელასკენ; გაიარა ცოტა და მობრუნდა ისევ შვილებისაკენ; მიიჭრა პატარა შაქროსთან, ერთიც მწუხარელეთ აკოცა მძინარე შაქროს და გაიქცა ტირილით გოდორთან; ავიდა ზედ, გაჰყო სახრჩობელაში თავი და თქვა: „ღმერთო! შენ გებარებოდეს ჩემი ილიკო და შაქროვო—ამ დროს ჰკრა გოდორს ფეხები და დაიწყო ხრიალით თოკზე პროწიალი...

შაქროც შიშშენით გამოერკვა ძილიდან, წამოდგა ზეზე და რა დაინახა თოკზე დაკიდული დედის საშიშარი სახე, ტირილით გამოიქცა მძინარე ილიკოსთან—გვერდზე მოუჯდა და ტიროდა: „ილო! ილო!.. აგელა, დედაი!“...

ტიროდა დედა პატარა შაქრო და ნელა ნელა ჰქრებოდა კრუჭკაც; შემდეგ შაქრომ დაადვა თავი ილიკოს გულზე, მიიხურა პატარა ხელებით საბანი და ჩაეძინა..

მეორე დილით ერთმა ბებერმა დედაკაცმა (რომელიც სოსიკას სიკვდილს შემდეგ ყოველ მამლის ყივილისას გადადიოდა ტასიასთან, აიმედებდა ტასიას და თითონაც ერთობოდა) შეატყობინა მეზობლებს: „ტასიას თავი დაუხრჩვია"-ო! —მამასახლისმა მოუყარა ხალხს თავი; შევიდენ ტასიას სახლში, ჩამოხსნეს დამხრჩვალი ტასია, დადვეს საკაცეზე და წაიღეს უღვდლოთ სოფ. ბლუეთის სასაფლაოზე და სულ განაპირას დაასაფლავეს...

ილიკო და შაქრო ერთ კაცს ჩააბარეს გასაზრდელათ.

ბებრიძე.

## ბიბლიოგრაფია.

„მოღიმულ გზაზე"—მოთხრობა ანასტასია ერისთავისა. თფილისი 1897 წ.

ეს მოთხრობა წარსულ წელში ნაწილ-ნაწილათ იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში" და შემდეგ ცალკე გამოვიდა. ის ეკუთვნის ახალგაზდა ქალის კალამს და გვიხატავს მაღალი წოდების, თავად-აზნაურობის, აწინდელ მდგომარეობას, გვისურათებს ამ წოდების ბრწყინვალება-ელვარების თანდათანობით ჩაქრობას, გალატაკებას, დამცირებას, დაქვეითებას; აღნიშნავს ასეთი გარდუვალი მოვლენის მიზეზებს და მათ შედეგსაც. თავ. ოქრო სარდიონიშვილი, მისი და მაკინე (კნეინა), კნიაჟნა ქეთო ზურაბიშვილი, აი მოთხრობის უმთავრესი მომქმედნი პირნი. მოთხრობა, როგორც მიღებულია, სიყვარულზეა აგებული, მარა უფრო საყურადღებო მხარე კი სულ სხვაა შიგ. მოთხრობა წარმოადგენს დრამას, რომელშიაც მოქმედებენ ორ გვარი მსხვერპლნი: მსხვერპლნი უსაზღვრო, მიუწდომელი სიყვარულისა (ოქრო და ქეთინო) და მსხვერპლნი დროთა ვითარების, ულმობელი კანონისა (იასონ და როსტომ). ყველა ესენი დადგომიან დაღმართსა და თანაც მოღიმულ გზას, ფეხი ასხლეტიათ და საოცარი სისწრაფით მიექანებიან ქვევით, სადაც სამარეა მათთვის გათხრილი!

არის ერთი სხვა მხრივ საყურადღებო პირიც მოთხრობაში, რომელიც ამ პროცესის მახლობელი მონაწილე და დამჩქარებელია. ეს არის გლეხი გრიგოლა, თავ. როსტომ ზურაბიშვილის მოურავი. ის დღითი დღე წელში იმართება, ღონიერდება, მისი ბატონი-კი უკან-უკან მიდის, სუსტდება. გრიგოლა ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ გულ-ღვიძლს უღრღნის როსტომის ოჯახს, ძირს უთხრის მის განცხრომას, კეთილ-დღეობას და მოკლე დროში თითონ იჭერს მის ადგილს: ისაკუთრებს როსტომის ადგილ-მამულს და სახლ-კარს. ვინ ჩადის ამას? გრიგოლა?! სრულიადაც არა. გრიგოლას თავის-თავათ სად შეუძლია ამისი ქნა! მასში მოთავსებულია ფული, ისე, როგორც ეშმაკის გვამში—ევის შემაცდენი გველი, და ის ამოძრავებს, ის ამოქმედებს.

ამ ნაირათ, მოთხრობაში აღძრულია ბევრი საამდროვო საკითხები, რომლებიც ცხოვრებას წამოუყენებია ჩვენში ამ ბოლო დროს და თხოულობენ ახსნას, გარკვევას, გათვალისწინებას. მოთხრობა ყოველსავე ამას მხოლოთ შეეხება, თვალ წინ გვიყენებს, თვარა ხელოვნურათ დასურათებაზე, ნათლათ წარმოდგენაზე-კი შორს არის. მოთხრობა მოთავსებულია 412 გვერდზე in quarto. ის არეულ-დარეული, დაუკავშირებელი და საშინლათ გაჭიანურებულია; ამისთვისაც მკითხველს ვერ იზიდავს და თავს აბეზრებს. მხოლოთ აქა-იქ შეგხვდებათ შიგ მიმზიდველი და შემძრწუნებელი ადგილები. ენა საზოგადოთ არაა დასაწუნი, თუმცა შეცდომებიც-კი ბევრია. ვრცლათ ამ წიგნის შესახებ შემდეგ გვექნება წერილები.

ჭადარა.

## ღია წერილი „კვალის" რედაქტორს.

„კვალის" ამ წლის მეცხრე ნომერში დაბეჭდილია ბრილელების საქმის გამო ერთი წერილი, რომელიც ჩირქსა სცხებს და შეურაცხყოფს როგორც განსვენებულ მამიჩვენის სახელს, ისე დღევანდელ მის მემკვიდრეებისასაც. ეს ცნობა, რასაკვირველია, სიმართლეს ყოველ გვარათ მოკლებულია. მარტო ჩვენზე რომ იყოს ეს ცილის წამება, ჩვენ, შეიძლება, ხმაც არ ამოგვეღო, მარა შვილებრივი გრძნობა და სიმართლის მოყვარეობა მოითხოვს, რომ უსაფუძლო ცილის წამება თავიდან ავაცდინოთ განსვენებულს და სიმართლე აღვადგინოთ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რედაქციას ეს მტრული საქმე რაიმე ბოროტ-განზრახულობით არ ჩაუდენია..... მხოლოთ სხვისგან არის შეცდენილი და ამისათვის ვთხოვთ რედაქციას სანდო ვინმე გაგზავნოს ამ მოკლე ხანში ს. ბრილში, გამოიკვლიოს, შეამოწმოს ყოველივე ის, რაც იმ წერილშია ნაჩვენები და თავისი უნებური შეცდომა თითონვე გაასწოროს. ამას მოითხოვს სიმართლის მოყვარეობა და პატიოსნება!.... და თუ არა, მაშინ ჩვენ, წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, იძულებული ვიქნებით სამსჯავროს მივმართოთ.

თავისთავათ და განსვენებულ მამიჩვენის ნიკოლოზ დიასამიძის მემკვიდრეების მაგიერათ გრიგოლ დიასამიძე. *)

27 თებერვალს 98 წ.

ქ. თფილისი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული ჟურნალი „კვალის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქვემორე აღნიშნულ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს ქუთაისის საკვირაო სკოლას და მის ბიბლიოთეკას. 1) ივ. გოკიელოვის შვილებმა: 250 ც. რვეული, ერთი კოლოფი კალამი, 6 დუჟინი კალამტარი (რუჩკა), 6 დუჟ. კარანდაში და 1/2 თოფი ქაღალდი № 5; 2) ლევან …ოჩოვმა 4 იანვარს საკვირაო სკოლის მოწაფეთათვის ქართულ იოლკის გასაწყობათ სხვა და სხვა ნივთები; 3) მ. ცხაკაიამ — 21 დაუდევინებული ქართული წიგნები; 4) ტ. გ. ნაზაროვისამ — „Русское богат.“ და მოამბე …ო წლის; 5) ა. მეძმარიაშვილის ასულმა 4 ქართული წიგნი; 6) ნ. პაპ. ჩხეიძის ასულმა — 5 ქართ. წიგნი და 7) მართა ალ. ჟღენტისამ — „русск. мысль“ 2 წლის და „Вѣст иност. лит.“ 1 წლის.

ვისურვებთ, რომ კვლავ სხვებმაც მიაწოდონ თავისი წვლილი ქუთაისში ამ ახლათ ფეხ ადგმულ საკვირაო სკოლას, სადაც სწავლის მსურველთა რიცხვი დღე მუდამ სულ უფრო და უფრო მატულობს, რისგამოც საჭიროა მისი ნივთიერი და გონებრივი ძალა გაძლიერდეს. იმედია ქუთაისლები ასეთ კულტურულ ზედ მოქმედებას ხალხზე უფრო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და ხელს შეუწყობენ აქაურების სწავლის უზომო სურვილთა დაკმაყოფილებას.

ქუთაისის საკვირაო სკოლის დამფუძნებელთაგანი მარიამ ოტიას ასული კარდოსანიძე.

ქუთაისი

1 თებერვალი 98 წ.

ბ-ნო რედაქტორო! ხშირათ გვესმის ჩვენი საზოგადოებისადმი საყვედური და უსამართლო გულის წყრომა... არავითარ კეთილ საქმეს არ თანაუგრძნობენ, შემწეობასა და დახმარებას არ გვიჩენენ, თორემ რა საზოგადო საქმეს არ გავაკეთებთო. მაგრამ ეს მხოლოთ ცალიერი სიტყვებია! ჩვენ იმას ვკითხულობთ, საქმით ვაკეთებთ რასმე თუ არა, ან რითი ვამართლებთ დანაპირებს? ამაზე გადაჭრით შემიძლია მოგახსენოთ, რომ არაფრით. ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენში არც ერთი საზოგადო დაწესებულება არ არსებობს, რომელიც სასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, და რომელსაც მოჰქონდეს საზოგადოებისათვის ის ნაყოფი, რასაც მისგან მოელოდენ. რა არის ამის მიზეზი? ვის ედება ბრალი, საზოგადოებას თუ საქმის სათავეში მყოფ პირებს? რა თქმა უნდა, ამ ბრალში საზოგადოებასაც აქვს თავის წილი, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო დამნაშავე აქ მოთავე პირია, საზოგადო საქმეს კერძო ინტერესებს ანაცვალებს ხოლმე. მე მოგახსენებთ „ახალი მკითხველის“ შესახებ. როგორც ვიცით, ამ ამხანაგობის დაარსებას დიდი თანაგრძნობით მიეგება ქართველი ახალგაზრდობა, (რასაც თვით ბ. ი. როსტომაშვილიც უარს ვერ ჰყოფს). დაარსებისათანავე ეს ახალი ამხანაგობა დიდ იმედს იძლეოდა, მარა რა გამოვიდა: იმედი საზოგადოებისა გაცრუვდა... დღეს ჩვენ არ ვიცით ცოცხალია ეს ამხანაგობა, თუ უკვე განუტევა სული. დაარსდა ამხანაგობა, მარა არავითარი ანგარიში არ ვიცით. *) 1, რამდენი იყო წევრი, 2, რით შესდგებოდა „ახალი მკითხველის“ თანხა, 3, რამდენს ჰქონდა სრული საწევრო ფული შემოტანილი ამხანაგობის კასსაში, 4, რა დაიხარჯა ხუთიოდე წიგნაკების გამოცემაზე და სხ. და სხ. ერთი სიტყვით, არც საზოგადოებამ და არც ახალი მკითხველის წევრებმა ამის შესახებ არა უწყიან რა. მხოლოთ ის ვიცით რომ ბ. ი. როსტომაშვილმა ამხანაგობას თავი დაანება, გადასცა რა სხვებს აწეწილ-დაწეწილი საქმეები.

მოდით და ამ გვარათ საქმის წარმოებას შემდეგ უსაყვედურეთ საზოგადოებას, რომ არავითარ საერთო საქმეში თანაგრძნობას არ გვიჩენთ, დახმარებას არ გვაძლევთო; რა უფლება გაქვთ? არავითარი! სამწუხაროა, რომ ამ ფრიად სიმპატიურ ამხანაგობას ასე ჩქარა მოელო ბოლო.

„ახალი მკითხველის“ წევრი

ლავრენტი ბერძენიშვილი.

P. S. წარსულ წელს ბ. ი. პ. როსტომაშვილმა განიზრახა, ალბომის გამოცემა „საქართველოს სურათებში“. როგორც ვიცით, ბ. ი. როსტომაშვილმა დანაპირები ალბომი ველარ გამოსცა, ამიტომ უმორჩილესათ ვთხოვ ბ. ი. როსტომაშვილს, რომ გადასცეს „კვალის“ რედაქციას ჩემ მიერ გაგზავნილი ალბომის საფასო შვიდი მანეთი. „კვალის“ რედაქციას ვთხოვ ამ ფულიდან ხუთი მანეთი აილოს „ჯეჯილის“ საფასოთ და ერთი ნომერი ამ წლის „ჯეჯილი“ უგზავნოს ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს; ხოლო დანარჩენი ორი მანეთი მოახმაროს ირაკლი მეფის ფონდს...

ლავრენტი ბერძენიშვილი.

*) ჩვენი გაზეთის დანიშნულება არის არა ვისიმე პირადობის სამსახური ან და დამცირება, არამედ საზოგადო საქმის ჭეშმარიტათ გამორკვევა. ჩვენ სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ ბარათს, იმიტომ რომ შეიძლება ახლა მაინც ამ საქმის ვითარება სინათლეში გამოვიდეს. რედაქცია ჩვეულებრივ არ გზავნის ყოველივე კორესპონდენციის შესამოწმებლათ თავის საკუთარ კაცს. ამას ჩვენ ვანდობთ ადგილობრივ კორესპონდენტთ და იმ უანგარო პირთ, რომელთაც სიმართლე აინტერესებს და არა პირადი შურის ძიება. გთხოვთ ყველა ამ საქმის მცოდნე პირთ იმ კორესპონდენციის შესახებ თავისი აზრი მოგვაწვდინონ.

რედაქ.

*) მოკლე ანგარიში უკვე დაიბეჭდა „კვალის“ მეორე ნომერში. დაწვრილებითი გამორკვევა ახალ კომისიას აქვს მინდობილი.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Февраля 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.